თავდასხმა კვლავ სუსტად თამაშობს

2 მაისს შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამო” და გათამაშების ლიდერი ხარკოვის “ლოკომოტივი”. ხარკოველები დიდი წარმატებით თამაშობდნენ გასულ წელს. მათ გაიმარჯვეს ზონაში, შემდეგ _ ზონათა შორის გამარჯვებულების ფინალში და გადავიდნენ პირველ ჯგუფში. წელს რკინიგზელებმა ბრწყინვალედ დაიწყეს პირველობა. ფრედ დაამთავრეს შეხვედრა მოსკოვის “სპარტაკთან” და დაამარცხეს მინსკისა (3:0) და ლენინგრადის (3:1) დინამოელები, 6 შესაძლებლიდან მოაგროვეს 5 ქულა.

თამაში დაიწყო. ორივე გუნდი დაზვერვას აწარმოებს. ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრშია. სტუმრები ვერ ბედავენ შეტევის დაწყებას. თბილისელები კი სინჯავენ “უცნობი მოწინააღმდეგის” სუსტ ადგილებს. ინიციატივა თანდათან “დინამოს” ხელში გადადის. თავდამსხმელები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან “ლოკომოტივის” კართან, სადაც მშვიდად და კარგად თამაშობს მეკარე უგროიცკი. მას მეტად ძლიერი დარტყმა აქვს და ბურთს შორს, ცენტრის იქეთ ისვრის, რითაც სწრაფად გადააქვს თამაში თბილისელთა ნახევარზე. ამ მომენტებს კარგად იყენებენ რკინიგზელები, კერძოდ მათი ცენტრი ლაბუნსკი და გარემარბები.

მე-12 წუთზე უგროიცკიმ ძლიერი დარტყმით შორს გაისროლა ბურთი. ლაბუნსკიმ იგი მარჯვნივ გაგზავნა, სადაც სარჯველაძე მარჯვენა გარემარბს “დარაჯობდა”. ბურთი უკვე საჯარიმო მოედანზე იყო, როცა სარჯველაძე შეჩერდა. უკრაინელთა ერთ-ერთი თავდამსხმელი სწრაფად გავიდა წინ, მარღანიასთან მარტო დარჩა და ბურთიც გაიტანა. 1:0 _ ასეთი ანგარიშით დამთავრდა პირველი ტაიმი.

თამაშის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, როცა სტუმრები კარისაკენ საჯარიმო დაინიშნა. ზაზროშვილის მიერ ზუსტად ჩაწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა ცენტრალურმა დამცველმა ძიაპშპამ. მან მეკარის ხელიდან გავარდნილი ბურთი ძლიერად სტყორცნა ბადეში. თბილისელები გადარჩნენ დამარცხებას. მატჩი დამთავრდა ფრედ _ ანგარიშით 1:1.

დინამოელების თამაშს სტანდარტული სახე მიეცა. მათ არ ახასიათებთ ის მწვავე შეტევები, რითაც ისინი წინათ იყვნენ გამორჩეული. თითოეულ მოთამაშეს თავის მოვალეობად მიაჩნია გააჩეროს ბურთი, “დაღეჭოს” იგი და როცა კარისაკენ ყველა გზა დაკეტილია, მოიშოროს თავიდან. სრულებით არ ხმარობენ ისინი თანამედროვე ფეხბურთის იარაღს _ თავისუფალ ადგილზე გასვლას, რითაც ასე ძლიერნი არიან მოსკოვის გუნდები. თამაშის მთელი სიმძიმე ნახევარდაცვას და დაცვას აწევს, მეკარესაც უხდება ხანგრძლივი და მძიმე სამუშაოს შესრულება. გუნდი ტექნიკურად ძლიერია, მაგრამ ტაქტიკაში მოიკოჭლებს. თუ კი წინათ სუსტი ადგილი კარში ზუსტი დარტყმა იყო, ახლა იქამდისაც არ მიდის საქმე _ კომბინაციები დარტყმამდე ქრება. საჭიროა ტაქტიკის ძირიანად გადამუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი წარმატებას ვერ მოიპოვებს.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 4 მაისი, 1949 წ.